დანართი 1

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის ანოტაცია

კურსის სახელწოდება: მცირე ბიზნესის მწარმოებელი

კურსის მოცულობა: 32 საათი

კურსის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: ნებისმიერი მსურველი

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: წინაპირობის გარეშე

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

კურსის მიზნები: მსმენელი შეისწავლის

- მცირე ბიზნესის ძირითად ცნებებს, კონცეფციებს და სოციალურ ეკონომიკურ ფუნქციებს;
- ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ძირითად ელემენტებს;
- ბიზნესის სუბიექტების და ორგანიზაციულ–სამართლებრივ ფორმებს;
- თანამედროვე მცირე ბიზნესის ფუნქციონირების მექანიზმს;
- ბიზნესის მართვის თანამედროვე მიდგომებს;
- ბიზნესის ოპერაციულ, სტრატეგიულ, მარკეტინგულ, საკადრო, საფინანსო ფუნქციებს.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელმა იცის:

- მცირე ბიზნესის არსი და მისი საბაზისო ტერმინოლოგია;
- თანამედროვე მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი ტენდენციები;
- ბიზნესის განხორციელების ძირითადი ფორმები;
- ბიზნესის გარემოს ფაქტორების სტრუქტურა, მათი ზემოქმედება ბიზნესში მიმდინარე პროცესებზე;
- საქმიან ურთიერთობათა სამართლებრივ ფორმების კლასიფიცირება და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოყალიბება;
- ბიზნესის ეფექტიანობის ასამაღლებლად სტრატეგიული პარტნიორების შერჩევა და კავშირის დამყარება;
- საგარეო ბაზარზე გასვლის ფორმის შერჩევა;
- ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპები და მიდგომები;
- მენეჯერის ფუნციები;
- კადრების შერჩევის, მათი მოტივირების და დისციპლინირების მეთოდები;
- წარმოების პროცესის ორგანიზაციის ეფექტიანი მიდგომები;
- სასაქონლო პოლიტიკის თავისებურებები;
- პროდუქტზე ფასების განსაზღვრის მეთოდები;
- გასაღების სტიმულირების მეთოდები;
- დაფინანსების წყაროების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები.

მონაწილეთა შეფასების სიტემა: შეფასება ხდება სწავლის დასრულებისას გამოცდის სახით. 51% გადალახვის შემთხვავაში გამოცდა ითვლება ჩაბარებულად.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: სერტიფიკატი მიენიჭება მსმენელს, რომელიც საბოლოო გამოცდისას გადაფარავს 51%-იან ბარიერს.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

(მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

№	სესიების თემები	საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის	ლიტერატურა
1	**თემა 1: ბიზნესის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები** • ბიზნესის არსი და ძირითადი ცნებები • ბიზნესის მიზნები და ფუნქციები • მცირე მეწარმის პირველი ნაბიჯები	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
2	**თემა 2. მცირე ბიზნესის გარემო** • ბიზნესის გარემოს არსი და ფორმები • ბიზნესის შიდა გარემოს სტრუქტურა • ბიზნესის გარე მიკრო გარემოზე მოქმედი ფაქტორები და პირობები • ბიზნესის გარე მაკრო გარემოზე მოქმედი ფაქტორების სტრუქტურა	4	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
3	**თემა 3. ბიზნესის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები** • ინდივიდუალური საწარმო • სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება • კომანდიტური საზოგადოება • შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება • სააქციო საზოგადოება • კოოპერატივი	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
4	**თემა 4. სტრატეგიული ალიანსები თანამედროვე ბიზნესში** • სტრატეგიული ალიანსის არსი და ძირითადი ნიშნები • ლიცენზირება, როგორც სტრატეგიული ალიანსის ფორმა • ფრანჩაიზინგის არსი, ფორმები და ღირსება-ნაკლოვანებები • ერთობლივი საწარმოები • კონტრაქტები მართვაზე	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
5	**თემა 5: მცირე ბიზნესის მართვა და ორგანიზაციული სტრუქტურა** • ბიზნესის მართვის არსი და ფუნქციები	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის

	• ხელმძღვანელის უნარჩვევები • ხელმძღვანელობის სტილი • ბიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურები		კონსპექტი
6	**თემა 6. პერსონალის მართვა** • საწარმოს პერსონალი და მისი სტრუქტურა • პერსონალის შერჩევა და მოტივირება • საკომპენსაციო პაკეტის განსაზღვრა • პერსონალის დისციპლინირება	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
7	**თემა 7. ბიზნესის ოპერაციული ეფექტიანობა** • ოპერაციული ფუნქციის არსი და მნიშვნელობა შესყიდვა • დასაწყობება • წარმოება • ხარისხის კონტროლი • მარაგის მართვა • ოპერაციული მართვის თანამედროვე თეორიები: საჭირო დროს, ხარისხის სრული მართვა	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
8	**თემა 8. მარკეტინგი** • მარკეტინგის არსი და როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში • მარკეტინგული ანალიზი და მომხმარებელთა შერჩევა • სასაქონლო პოლიტიკა: საქონლის ტიპები, შეფუთვა და ეტიკეტი, საქონლის შექმნა • ფასების პოლიტიკა • საქონელმოძრაობის პოლიტიკა • სტიმულირება და კომუნიკაციის პოლიტიკა: პირადად გაყიდვა, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გასაღების სტიმულირება	4	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
9	**თემა 9. ბიზნესის სტრატეგია** • სტრატეგიის არსი და ძირითადი ნიშნები • საწარმოს მისია, მიზნები და ამოცანები • სტრატეგიის ფორმირება • SWOT ანალიზი და სტრატეგიული ალტერნატივების გენერირება • ზრდის შიდა სტრატეგიები • ზრდის გარე სტრატეგიები • შერწყმების და შთანთქმების სტრატეგიული ასპექტები • სტრატეგია, როგორც სწორი პოზიცია • ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცა • დანახარჯებში ლიდერობა, დიფერენცირება, ფოკუსირება • სტრატეგია როგორც დიდი გეგმა • სტრატეგიის დონეები: კორპორაციული სტრატეგია, ბიზნესის სტრატეგია, ფუნქციური სტრატეგიები	4	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი

	ბიზნესგეგმა		
10	**თემა 10. ბიზნესის ფინანსური რესურსები და დაფინანსების ფორმები** • ფინანსური რესურსების არსი • ბიზნესის ფინანსური რესურსების ფორმირება • ბიზნესის დაწყების დაფინანსებს წყაროები: პირადი დანაზოგები, ნათესავები და მეგობრები, ბიზნეს ანგელოზები, არენდა, მიმწოდებლები და მომხმარებლები, კომერციული ბანკები და სპეციალური სახელმწიფო პროგრამები • ბიზნესის განვითარების დაფინანსება	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
11.	**თემა 11. ბიზნესის დაბეგვრა და საგადასახადო რეგულირება** • გადასახადების არსი და წარმოშობის მოკლე ისტორია • გადასახადების და მოსაკრებლების სახეები • ბიზნესის პირდაპირი გადასახადები საქართველოში • ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები საქართველოში	2	**მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, თბილისი 2011, გვ. 337–372.**
12	**თემა 12. საგარეო ბაზარზე გასვლის თავისებურებები** • საერთაშორისო ბიზნესის ცნება და თავისებურებები • საგარეო ბაზარზე გასვლის ფორმები • ოფშორული ბიზნესი • მცირე ბიზნესი გლობალიზაციის პირობებში	2	მოცემულ თემაზე ლექტორის მიერ მომზადებული ლექციის კონსპექტი
13	**გამოცდა**	2	

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:
დაფით და პროექტორით აღჭურვილი აუდიტორია